საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 400,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 20,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—24 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. წონპარელი
4 „ 100,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 466 პარასკევი, მაისის 11 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000

კვირას, მაისის 13, დღის 12 საათზედ

პარტიულ კლუბში (ლორის-მელ. № 1) დანიშნულია

პ. ჭანიშვილის

მოხსენება

მარქსიზმის გამოცდა რუსეთის რევოლუციაში.

დასწრება შეუძლია თანამგრძნობთაც წევრის რეკომენდაციით.

## ბაბილონის ტყვეობა.

ასი-ათასობით სპარსეთში გადასახლებულ ქართველთაგან ოციოდე სოფელი დარჩენილა ფერეიდანში, რომელიც თავის თავს დღესაც საქართველოს უწოდებს. ვერც რჯულის ნაძალადევად გამოცვლამ, ვერც სამასი წლის გაუგონარმა მტარვალობამ ვერ წაშალა ამ განაწამებ ხალხში სამშობლო საქართველოს ხსოვნა, თუმცა არ იცოდენ. საით იყო მათი სამშობლო: მზე რომ ამოდის იქეთ, თუ მზე რომ ჩადის იქეთ.

მათ სწამდათ, შეურყევლად სწამთ დღემდის, რომ მათ იხსნის ამ ბაბილონის ტყვეობიდან უფროსი ძმები. როგორც ებრაელები ბაბილონის ტყვეობაში, ისე ფერეიდანელ-ქართველები სამშობლოში დაბრუნების იმედით სცხოვრობდნენ და სცხოვრობენ. ჩვენ გვწამდა, რომ საქართველო ალსდგებოდა, განთავისუფლდებოდა და ჩვენც გაგვიხსენებდა. „აბა სხვა რიგად როგორ შეიძლებაო“, ამბობს ფერეიდანიდან წარმოგზავნილი სეიფოლა იოსელიანი. მართლაც რომ სხვა ნაირად არ შეიძლება!

როდესაც გავიგეთ, რომ საქართველოში მუშებს და გლეხებს გაუმარჯვნიათო, განაცხადა ს. იოსელიანმა, გამომგზავნეს მთავრობასთან: ჩვენც მუშები და გლეხები ვართ, თქვენგან ძალად დაშორებული ძმები და გვიშველეთ რამეო.

40,000 ქართველი ეხლა აქეთ, საქართველოსაკენ იყურება და გულის ფანცქალით მოელის პასუხს უფროსი ძმებისაგან. რას ვიზამთ ჩვენ, როგორ შევხვდავთ მათ მომართვას? რასაკვირველია მათ იმედი გაუმართლდებათ და „სიხარულად შეეცვლებათ ამდენი ხნის გასაჭირი“. საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობა უსათუოდ ყოველ შემთხვევას გამოიყენებს ფერეიდანელ ქართველთა სასარგებლოთ, მათი უკვდავი და დაუძლეველი სურვილის შესასრულებლად:

მაგრამ ყოველ მთავრობას ერთგვარ პირობებთანა აქვთ საქმე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს და ამ პირობებს ვერ გადალახავს. ეს კარგად შეიგნო ქართველმა საზოგადოებამ და ამა მაისის 4 გადასწყდა საზოგადოების დაარსება, რისთვისაც არჩეულია კიდეც საორგანიზაციო კომისია. ჩვენ მოველით, რომ ეს კომისია სულ მოკლე დროში შეიმუშავებს საჭირო წესდებას და მოიწვევს საზოგადოების დამფუძნებელ კრებას.

ერთხელ კიდევ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ საზოგადოებას მიზნად უნდა ჰქონდეს არა მარტო ფერეიდანის, ან თუ გინდ სპარსეთის ქართველობა. ასეთები სხვა ქვეყნებშიაც არიან და უსათუოდ მათზედაც უნდა ვიზრუნოთ, რასაც ვფიქრობთ, არავისათვის სადავო არ უნდა იყოს.

## ახალი ამბები

— **ჭლექთან ბრძოლა.** ყოფილ არამიანცის საავადმყოფოსთან არსდება განსაკუთრებრივი კლინიკა ჭლექიან ავადმყოფებისათვის.

— **ინვალიდების სახლები.** ტფილისის ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო მზრუნველობის კომისარიატის წინაშე, რათა ქალაქ ტფილისში მოწყობილ იქმნას საინვალიდო სახლები, ტფილისის ალმასკომი საინვალიდო სახლების მოწყობაში პირდება აქტიურ დახმარებას.

— **კონფლიქტები.** ტფილისის ალმასკომი აცნობებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ყველა კონფლიქტები რომელიც აღძრული იქნება წყალსადენის მართველობის გარშემო, გარჩეულ იქნება საერთო წესით სახალხო სასამართლოში და არა ალმასკომში.

— **უმუშევარნი.** პირველ მაისიდან 8 მაისამდინ შრომის ბირჟაში გამოცხადდა 8435 უმუშევარი. ამ რიცხვიდან 4 690 მამაკაცია და 3745 ქალი. ჩაეწერა 215 უმუშევარი: 135 მამაკაცი და 80 ქალი. მოთხოვნილება კი მიიღო შრომის ბირჟამ 371. გაიგზავნა სამუშაოზე 311 უმუშევარი. აქედან ვაჟი 210 და ქალი კი 101. აღდგენილია უფლებებში 50 უმუშევარი; 18 ქალი და 32 მამაკაცი.

— **სომხური პრესის გამოფენა.** აი არტრუნის შენობაში (ყოფილი სომხების ხელოვნების სასახლე) სომხების გაზეთ „მარტაკოთის“ ინიციატივით გაიხსნა სომხურ პერიოდულ პრესის გამოფენა.

— **ალმასკომების სასარგებლოთ გადასახადებზე პროცენტების მომატება.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა: შემოღებულ იქმნას გადასახადებზე შემდეგი მომატებანი: 1) სახელმწიფო სამრეწველო გადასახადზედ—100 პროცენტით, სამრეწველო მოწმობების ფასიდან, როგორც ძირითადი, ისე მომატებულათ ფუფუნების საგნებზე და 25 პროცენტი დამატებულ გადასახადიდან, 2) პატენტზე თამბაქოს და ტკბილეულობის სასმელების ვაჭრობის უფლებაზედ—100 პროცენტი, 3) სასამართლოს გადასახადი—100 პროცენტი, 4) ნოტარიული მალით სავაჭრო და სხვა ხასიათის ხელშეკრულებათა შემოწმებაზედ—100 პროცენტი.

— **აბანოების ტარიფი.** ტფილისის ალმასკომმა დაადგინა 10 მაისიდან ქალიქის აბანოებზე შემოიღოს შემდეგი ტარიფი:

ყოფ. სუმბათაშვილის აბანო №1.2.3 500.000 მან.
საერთო . . . . 100.000 მან.
ყოფ. არღუთინსკის აბანო №4. №1.2 3.4.5.6. . . . . . . 500.000 მან.
ყოფილ ცოვიანოვის აბანო № 5. № 1.2.3.4. . . . . . . 450.000 მან.
საერთო . . . . 100.000 მან.
ყოფილ ფანტაზია № 6. № 1.2.3.4 500000 მან.
საერთო დედაკ. და მამაკ. . . 100.000 მან.
ყოფ. ერეკლეს აბანო № 7. № 1.2.3.4.5.6.7.8.9.10 . . . . . . 500.000 მან.
საერთო . . . 100,000 მან.
ყოფ. ორბელიანის აბანო № 8.
№ 1. 2. 3. 4. 5. 6. . 500,000 მან.
7. 8. 9. 10. . . 450.000 მან.
საერთო . . . 100.000 მან.
ყოფ. მირზოევის აბანო № 9
№ 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 500.000 მან.
№ 10 . . . . . 450.000 მან.
საერთო ქალ. და მამაკ. . 100,000 მან.

ორთქლის აბანოებში

ყოფ. კარიჯავას № 13 საერთო მამაკ. 150,000 მ
ყოფ. უნანოვის № 14. № 1, 2, 3, 4. 5, 6 7, 8. . . . . 500,000 მან
საერთო ქალების . . 150,000 მან

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი, 16 მაისი, ოქროს თუმნიანი—15 მილიონი; ჩერვონეცი—9,800 ათასი; გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—9,175 ათასი მანეთი, ჩეკი—8,150 ათასი; დოლარი ეფექტივი—2,150 ათასი, ჩეკი—1,900 ათასი; ოსმალური ქაღალდის ლირა—1,375 ათასი; იტალიური ლირა—90 ათასი; ფრანკი—115 ათასი; ოქროს ნატეხი—96 პრობისა მისხალი 3 მანეთი 60 კაპეიკი; ახ. პრობისა—1 მანეთი 80 კაპეიკი; ვერცხლი 84 პრობისა მისხალი 7 კაპეიკი; ბანკის მანეთიანი ვერცხლი 43 კაპეიკი. მყიდველი—საბჭოს ნიშნებზე—15500; რუსის ოქროს თუმნიანი—15,500 ათასი; ჩერვონეცი 9,800 ათასი; გირვანქა სტერლინგი ეფექტიკი—9,150 ათასი, ჩეკი—8.1000 ათასი; დოლარი ეფექტიკი—2,1000 ათასი; ჩეკი—2,900 ათასი; ოსმალური ქაღალდის ლირა—1,360 ათასი მან. ამიერ კავკასიის ბონებით.

## პარტიაში

ქ. ზესტაფონი. მაისის სამს ქ. ზესტაფონში საზაფხულო თეატრის შენობაში დანიშნული იყო საჯარო მოხსენება ამხ. ს. ამაღლობელს, მაგრამ როგორც განცხადებიდან გამოირკვა, უკანასკნელი ვეღარ ჩამოსულა ტფილისიდან უეცარი ავადმყოფობის გამო. მის მაგივრად მოხსენება „პარტიის პოლიტიკის“ შესახებ გააკეთა ამხ. გ. თავზარაშვილმა.

თავმჯდომარეობდა ამხ. დ. ინოზემცევი.

მომხსენებელს მოულოდნელად მოუხდა გამოსვლა—მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც ნათლად დაახასიათა პარტიის პოლიტიკის მთავარი მოტივები და დაწვრილებით შეჩერდა მემარცხენე ფრთის წარმოშობის მიზეზებზე. შეეხო მოკლედ საერთაშორისო მდგომარეობას და საქართველოს პრობლემას. ილაპარაკა გარდამავალი პერიოდის და საქართველოს მემარჯვენე პოლიტიკური პარტიების მსოფლ-მხედველობისა და მათი პრაქტიკული „საქმიანობის“ შესახებ. დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა მის ძირითადი მოტივები რაშიაც არის განსხვავება მემარჯვენე და მემარცხენე სოც.-ფედერალისტებსა და გაარკვია კონტაქტი, რომელიც არსებობს ჩვენი პარტიისა და კომუნისტებს შორის.

მოხსენება შინაარსიანი იყო.

იყო შეკითხვები, რომელზედაც საჭირო პასუხი იქნა გაცემული მომხსენებლის მიერ.

საჯარო კრების შემდეგ გაიმართა პარტიული ამხანაგების კრება რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება პარტიული მუშაობის შესახებ და აირჩა შორაპნის სამაზრო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: 1. ინოზემცევი დავით, 2. მშვენიერაძე იაკობ, 3. საყვარელიძე კოტე, 4. მეტრეველი მიხეილ, 5. თურმანიძე პავლე, 6. თუხარელი ნიკო, 7. საყვარელიძე ანა, 8. ასათიანი კალისტრატე, 9. გორგაძე შალვა. კანდიდატებათ: 1. ლორთქიფანიძე სანდრო, 2. აბიშიძე ალექსანდრე.

დაევალა ახლად არჩეულ სამაზრო კომიტეტს შეასრულოს ზესტაფონ-შორაპნის საქალაქო კომიტეტის ფუნქციები, მხოლოდ მაისის განმავლობაში აუცილებლად მოიწვიოს სამაზრო კონფერენცია.

**შორაპნელი**

პარტიაში

— კვირას, მაისის 13, სრულ 11 საათზედ „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა, რომელიც გაიხსნება სწორედ დანიშნულ დროს.

— სდგება პარტიულ ამხანაგ ქალ-ვაჟთა გუნდი რევოლუციურ სიმღერების შესასწავლად, მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ „ტრიბუნის“ კანტორაში.

## მუშათა ცხოვრება

**ფოს.-ტელ. მოსამსახურეთა კავშირის საბჭომ** დაადგინა: ვინაიდან პროვინციაში მუშაობა მეტად სუსტად მიმდინარეობს და ცხოვრებაში არ ტარდება რაიგამგეობის დირექტივები, პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს გაგზავნის ერთ-ერთი წევრი საჭირო დირექტივების მისაცემად ადგილობრივად.

**კულტმუშაობისათვის** კავშირში, ვინაიდან რაიგამგეობა მეტად უმნიშვნელო თანხას იღებს, დადგენილ იქმნა: ეთხოვოს მთავარ პოლიტგანმანათლებელ განყოფილებას, გარდა ორშაბათისა, კიდევ ერთი საღამო დაეთმოს ფასიან საღამოსთვის. ორშაბათობით კი კავშირის წევრებისთვის მცირე ფასის დადებით დარიგდეს ბილეთები.

**სახკავშირის ხტუდიელებს,** ვინაიდან ყოველდღიურად 3—5 საათი მუშაობა უხდებათ, მიემატოს თითო კატეგორია სუყველას, ხოლო ჯომარჯიძეს, სულთანიშვილს, ქანთარიას, იანქოშვილს და დიეს კი ორ-ორი კატეგორია.

**სახკავშირის რაიონებისათვის** ბეჭდებისა და შტემპელების შესაძენად, ამხ. ჩიხლაძე მიენდო, გამოარკვიოს ღირებულება მათი და ეთხოვოს სახკომფოსტელს, თანახმად საერთო დებულებისა, შეძენილ იქმნეს მის ხარჯზე.

**კოოპერატივის მუშაობა,** სახკავშირის საბჭომ, დამაკმაყოფილებლადა სცნო, დაადგინა მადლობა გამოეცხადოს კოოპგამგესა და, საერთოდ, მისს მოსამსახურეებს.

**შტატგარეშე დარჩენილ** დატოვებულ თანამშრომლების განცხადების შესახებ, სახკავშირის საბჭომ დაადგინა: ეთხოვოს მაკომფოსტელს იაკიმაშვილი, კენჭიაშვილი, სოლოღაშვილი და მეგრელიშვილი დაინიშნენ სხვა და სხვა დაწესებულებაში, რომ ამით საცხოვრებელი სახსარი მიეცეთ.

**მიწა-ტყის კავშირის** ც. ც. ცირკულიარული მიწერილობის გამო 833 ოქროს მომგებიან სესხის გავრცელების შესახებ გლეხთა შორის, დადგენილ იქმნა: ხელმეორედ დაისვას ეს საკითხი კონფერენციაზე განსახილველად. ასლი გადაეგზავნოს ქუთაისისა და ბათომის განყოფილებათ სათანადო აგიტაციის გასაწევად.

**გლეხის სახლის** დაარსების შესახებ, ვასო რცხილაძის განცხადების თანახმად, დადგენილ იქმნა: მიეწეროს ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილებას და ც. კ. საიგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას მიწა-ტყის კავშირის წარმომადგენელთან ერთად მიიღოს საჭირო ზომები ამ მიზნის განსახორციელებლად.

## საქართველოს წითელ ჯარში

**ცალკე საგაუბიცო ბატარეია.**

**პოლიტმუშაობა.** აღნიშნულ ნაწილში პოლიტმუშაობა მიდის ყოველ დღიურად, იკითხება მოხსენებები მომენტის და სხვა პოლიტიკურ თემებზე, რომლის შემდეგ იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

**კლუბის მუშაობა.** კლუბის მუშაობა ნაწილში საშვალოა. ნაწილს არ აქვს თავისი საკუთარი კლუბი, მაგრამ სარგებლობს არტილერიის საერთო კლუბით.

**წარმოდგენები.** დრო-გამოშვებით იმართება წარმოდგენები, რომელსაც მართავს დრამატიული წრე წითელ-არმიელებისაგან შემდგარი. პიესები იდგმება სარევოლიუციო რეპერტუარიდან.

**წრეების მუშაობა.** ახალი წვეულთა მოსვლის შემდეგ განზრახულია წრეების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

**წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველი ზომები მიღებულია. ახლად გაწვეულებში მრავლად არიან წერა-კითხვის უცოდინარნი, რომელთაც გულით სურთ დაეწაფონ სწავლა-განათლებას.

**პარტიული მუშაობა.** პარტიული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას. კომუჯრედის მუშაობა სისტემატიურად მიმდინარეობს.

**კედლის გაზეთი.** აგრეთვე გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობენ როგორც წითელ-არმიელნი, აგრეთვე უფშემადგენლობაც.

**წითელ-არმიელებს კარგად აცვიათ.** წითელ-არმიელნი ჩაცმულნი არიან კარგად და სუფთათ, როგორც ტანისამოსით, აგრეთვე ფეხსაცმელებით 100 პროც.

**ახალი სამხედრო კომისარი.** ამ ნაწილში ეხლახან დანიშნეს ახალი სამხედრო კომისარი ამხ. კაკაბაძე, რომელმაც ენერგიულათ შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. მან უკვე მოიპოვა პატივისცემა და სიყვარული წითელ-არმიელებისაგან.

**უფშემადგენლობა.** უფშემადგენლობის და წითელ-არმიელთა შორის დამოკიდებულება კარგია. სამსახურის დროს მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინაა და სამსახურის გარეშე კი ამხანაგური კავშირი.

**ახლად გაწვეულნი.** ახლად გაწვეულების შორის სულიერი მდგომარეობა ჩინებულია. ყველას გულწრფელად სურს სამსახური გაუწიოს საბჭოთა ხელისუფლებას და დაიცვას საქართველოს რესპუბლიკა, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან.

**რეზოლიუცია მიღებული ქართველ ოფიცრების მიერ მათი საერთო კრებაზე 28 აპრილს.**

**ქართულ დივიზიის უპარტიო სარდლობამ** (ოფიცრებმა), მოისმინეს რა ამხ. **თენგიზ ჟღენტის, ეგოროვის** და სხვების მოხსენება „მიმდინარე მომენტი და ქართული წითელი ჯარი“, ვადგენთ:

„რომ საერთო ძალღონით ორი წლის დაულალავი შრომით და ენერგიის გაღებით საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დამტკიცდა საქართველოს წითელი ლაშქარი. ჩვენი მტრების ყოველივე ცდამ, რათა ხელი შეეშალათ ქართული წითელი-არმიის შექმნისათვის უნაყოფოდ დამთავრდა. წითელი სარდლობა არა თუ არ წამოეგო მტრების ანკესზე, არა-

შიდ, პირიქით, ერთგულად დაადგა თავის სადარაჯოს და უპასუხა მათ ერთგული შეტევით, როგორც ეს იყო ჩოლოყაშვილის ბანდების დამარცხება და სხვა.

მთელი ქვეყნის მშრომელთა გასაგონათ დღეს ჩვენ აქ ვაცხადებთ, რომ ქართული წითელი ლაშქრის სარდლობა კარგა ხანია დავრწმუნდით პროლეტარიატის განთავისუფლების ბრძოლის სიდიადეში და დავადექით ჭეშმარიტ გზა'ს.

დღეიდან ქართული წითელი სარდლობა არ დავზოგავთ ენერგიას. გამოუზარდოთ ღირსეული წითელი დამცველი მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს იმ ახალგაზრდობისაგან, რომელიც ყოველ დღიურად მოევლინება ჩვენს რიგებს.

ამასთან ერთად წითელი სარდლობა აღნიშნავს ევროპის მდგომარეობას, იქ დაწყებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ რღვევას და საბჭოთა ფედერაციის თანდათანობით პოლიტიკურათ და ეკონომიურად გაძლიერებას, რომელიც ცხადათ ამტკიცებს გამართლებას კომუნისტური პროგრამისას.

ქვეყნის მშვიდობიანობისათვის, ეკონომიურ წინსვლისათვის და მუშათა კლასის კულტურის გასანვითარებლათ საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და უარყოფა ყოველი საბჭოთა მოწინაამდეგე პარტიების. ჩვენ უპარტიო სარდლობა ვილებთ რა დიდ პასუხისმგებლობას მუშების წინაშე და ვდგევართ რა საბჭოთა პლატფორმაზე, გულწრფელად ვაცხადებთ, რომ ჩვენ მტკიცედ დავიცავთ მუშურ-გლეხურ წესწყობილებას და დავიმსახურებთ მუშების და გლეხების სიყვარულს.

ჩვენს სწავლას და ცოდნას არ დავზოგავთ წითელ ჯარის შესაქმნელად.

დღეიდან არავინ გაბედოს ქართული ოფიცრების სახელით ლაპარაკი და რაიმე ჩირქის მოცხება ქართველი სარდობლისათვის, ყველა ის, ვინც არ დაამტკიცებს ერთგულობას და ჩაიდენს ღალატს წითელ ჯარის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, იქნეს განდევნილი წითელი სარდლობის რიგებიდან და დეე საბჭოთა კანონმა დასაჯოს სასტიკად, როგორც მოღალატე მუშათა კლასის და კონტრრევოლიუციის მეგობარი.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას.

გაუმარჯოს მთელ ქვეყნის მუშათა კლასს.
გაუმარჯოს ქართულ წითელ ჯარს.
გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, ინტერნაციონალურ წითელ ლაშქარს და მის სარდლობას!

# „პოეზიის დღე“

გასული წელი ქართული პოეზიისათვის მით აღინიშნა, რომ ჩვენში არსებული ორი ბანაკი მწერალთა საგრძნობათ დაუახლოვდენ ერთმანეთს. ინერციული იყო მათი სრბოლვა „მთლიანი კულტურული ფრონტისაკენ“. ეს გზა გასულ წელს მივიდა იქამდე, რომ ამ ორ კავშირს შორის არსებული დემარკაცია დავიდა ფორმალურ ფიქციამდე. (მხედველობაში გვაქვს, როგორც შემოქმედებითი, ისე პრაქტიკული მხარე).

ამიტომ მოულოდნელობამდე საკვირველი გამოდგა, რომ მათ მაინც ვერ გაბედეს „პოეზიის დღე“ აღენიშნათ გაერთიანებულად. ეს თავმოყვარეობის საკითხია მხოლოდ.

„პოეზიის დღე არ შეიძლება არსებობდეს, როგორც პოეტების ინტიმური ზეიმი და ეს იმიტომ რომ პოეტისათვის ყოველი დღე, ყოველი წუთიც ერთნაირად ნამსხვერპლები აქვს პოეზიას და განსაკუთრებული დღე ამ შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა, შეიძლება ქონდეს ამ დღეს ერთი მისსია—ეს პოეზიის მისვლა უშუალოთ ქუჩასთან, ხალხთან. ეს განსაკუთრებით ჩვენში იქნებოდა გამართლებული, სადაც პოეზია ასკეტურათ ჩაიკეტა, მხოლოდ სალონებში გოტიურ ტაძრის გუნბათების ნაცვლად

ამ თვალსაზრისით 6—7 მაისი ჩვენს დედაქალაქში ოდნავათაც ვერ აღინიშნა. მიზეზი რა თქმა უნდა გასაგებია: ეპოქის სულს, თანამედროვეობის პსიხოზს კულმინიციურად დაშორებული შემოქმედება, რასაკვირველია ვერ შესძლებდა თუნდ ერთი დღითაც „სოროებიდან“ გამონათებას.

ვერც ძველმა და ვერც ახალმა „მწერლობის კავშირმა“ ვერ შესძლო ეს...

ახალი მწერლობის კავშირმა „პოეზიის დღე“ ჩაატარა 6 მაის ეს იცოდენ მხოლოდ ლიტერატურულმა წრეებმა. რით აღნიშნეს მათ ეს დღე: საგანგებოთ გამოვიდა გაზეთი „პოეზიის დღე“.

მეთაური გაზეთის, რომელიც ეკუთვნის პაოლო იაშვილს, კიდევ ერთხელ ეხება იმ მიმდინარეობას ქართულ ხელოვნებაში, რომელსაც მხოლოდ ერთი წლის წარსული აქვს, შექმნილი ჩემი მეგობარ-ფუტურისტების მიერ.

ეს არის კიდევ ერთი შედევრი იმ ვულგარული ლექსიკონიდან, რომელიც „ყანწელებმა“ შექმნეს საგანგებოდ ჩვენს წინააღმდეგ. ეს არაა უკვე მოულოდნელი მათგან და ამდენათვე არაა საყურადღებო.

აღსანიშნავია მხოლოდ შემდეგი: ჩვენის მისამართით ნათქვამია „ისინი ჯერ კიდევ ჩვენი რძით იკვებებიან“.

სასაცილო პრეტენზიაა! მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენმა მათგან დაშორებამ და ყოველდღიურმა ბრძოლამ მათ წინააღმდეგ მათ დაუკარგა ყოველგვარი თავდაჭერა და პრესაში ცინიკურ გინებასაც აღარ ერიდებიან, მიუხედავად ამისა მათ კიდევ აქვთ მოურიდებლობა ჩვენ თავის მიმდევრებათ ჩაგვთვალონ.

და ეს ის ხალხია, რომელნიც ათი წლის განმავლობაში ოცნებობენ ლიტერატურულ სკოლის შექმნაზე, და დღემდესაც ვერ შემოფარგლეს თავის იდეოლოგიური და ესთეტიური არე და დღესაც ჰიბრიდულ და გერმაფროდიტულ მდგომარეობაში არიან credo-ს მხრივ. ხალხი მოსული აბსოლიუტური ნიჰილიზმით (პირველთქმა „ყანწების“) ლიტერატურაში, თანდათანობით იჩოქებენ ყოველ სახელის წინაშე ჩვენი ძველი მწერლობიდან და დღეს საბა-სულხან-ორბელიანის, ილიას და ვაჟას ავტორიტეტს ებღაუჭებიან; ათი წლის განმავლობაში მათ ვერ შესძლეს მოეცათ ერთი სერიოზული წიგნი მაინც, რომლითაც სკოლას შეეძლოს გამართლება, თუმცა პაოლო იაშვილი ბევრს ფიქრობს საქართველოს ტოლსტოით გახდომას. (ავიწყდება ალბათ, რომ ტოლსტოი ბეჭების სისქით კი არა ინტელექტის ტიტანიერობით გაიმართა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში). ის ყველაზე მეტი გაბედული და პირდაპირი გამოდგა ჩვენს მიმართ. ეს გასაგებია, რადგან ჩვენ იგი მეტად დიდ უხერხულობაში ჩავაყენეთ, ჩვენ მას მთელი ხალხის წინაშე ვუყიჟინეთ გაქურდვა ბალმონტის ქმედითი სახის, რის შემდეგ იგი იძულებული გახდა პლაგიატიაზე ხელი აელო და დაეწყო ისეთი იაფფასიანი ლექსები, როგორიცაა მისი უკანასკნელი ნაჯახირევი შემოქმედება.

რა პრეტენზიები აქვს იმ ლიტერატურულ ჯგუფს, რომელიც მთელი ორი-სამი წელი ეფარებოდენ დღეს უკვე მათ მიერ გაპროფანებულ სახელებს გალაქტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილისას, რომელზედაც გრიგოლ რობაქიძე ისეთივე ცრუ კლასიკური პათოსით კითხულობდა ლექციებს.

რაც შეეხება მათ მიერ გამართულ სალამოს 6 მაისს. გრიგოლ რობაქიძის მოხსენება იყო ჩვეულებრივი.

ტიციან ტაბიძემ საზეიმო სიტყვის მაგიერ სადღესასწაულოთ მოსულ ოციოდე სტუმარს გაუკეთა დეტალური ანგარიშები კავშირის მოქმედების შესახებ. ალბათ მას მისამართი შეეშალა; ან აუდიტორიის სტატისტიკამ მას კონფერენციათ მოაჩვენა ეს სალამო. შემდეგ გამოვიდენ ლექსებით ჯერ ეპიგონები: არც ერთს არ ემჩნეოდა გაზრდა; იყო მრავალი კურიოზი და უნიჭობა, რომლითაც ზოგჯერ წითლდებოდენ მასწავლებელი—„ყანწელები“ გრიგოლ რობაქიძემ წაიკითხა ლექსი, რომელიც ცნობილია მით, რომ გარდა ლექსის არხიტექტონისა, სათაური მოპარა ქუთაისელ პოეტს. (ვასო გორგაძის „ქალაქი ფენომენი“ ჟურნალ „უქიმერიონი № 2), თუ რამდენს ნიშნავს სათაურით პლაგიატიაც, ეს მათ იციან თავისი ორდენის წევრის სანდრო ცირეკიძის წერილიდან მაინც.

შესანიშნავი გამარჯვებაა! აქამდე რაფიელ ერისთავის გავლენა, დღეს ვასო გორგაძიდან პლაგიატობა და ესეც ორდენას კარდინალისათვის—სალამოს დავესწარით ჩვენც, მაგრამ არ დავარღვიეთ „პანაშვიდური“ მდგომარეობა სალამოსი—ვისმენდით სიცილით.

უკანასკნელათ ყანწელებში გაჩნდა ტენდენცია პრიმიტივში დაბრუნების, მე ვფიქრობ „ყროყინისა და მამლის [illegible], რომელსაც იძლევა რაჟდენ [illegible] პრიმიტივიდან [illegible] ულწევლობაა და არა [illegible].

სხვა დროს, ახლო მომავალში შეხვედებით მათ უფრო უშუალოთ. მანამდე მხოლოდ ეს შენიშვნები დარჩეს. დაე კიდევ ერთხელ შეეცადონ ნაცადი გზით პასუხს. აკი იმუქრებიან „პულსით“ და ღონით, მაგრამ მათ არც ამ შემთხვევაში გამოუჩენიათ დიდი რაინდობა: ერიდებიან რა თავის „ტყავს“, ეფარებიან ჩვენ მეგობარს შენგელაიას. ლეონიძემ და ტიციან ტაბიძემ გაიხსენონ კიდევ მათ პრესაში უკვე ოდა-მიძღვნილი „პიტნავას რესტორანი“ და თავისთავათ მოიხსნება მუქარა ფიზიკურ „ტერორით“.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა პოეზიის დღე აღნიშნა 7 მაისს. მათაც გამოსცეს გაზეთი იმავე სათაურით. ყველაფერი ჩვეულებრივი. ჩვენს მიმართ გაუბედავი წკიპურტები. (საჭიროა მეტი გამბედაობა, მაგრამ ვინ მისცა მათ ეს?! მათი სალამო იხსნა მუსიკამ. იყო გუნდი ფოცხვერაშვილის, იყვენ უკვე სახელის მატარებელი მომღერლები. კურიოზული იქნებოდა ეს სალამო, რომ არ ამოფარებოდენ მომღერლებს.

ესეც პოეზიის ზეიმია და აპოგეია!

მოხსენება შიუკაშვილის, რა თქმა უნდა ვერ უძლებს მინიმალ კრიტიკასაც კი. ამას გრძნობდა ყოველი დამსწრე ბავშიც.

ლექსებზე, რომელიც იყო გამოფენილი ზედმეტია კომენტარია.

ასე ბრწყინვალეთ ჩაატარეს ჩვენს დედა ქალაქში „პოეზის დღე“.

ჩვენ გვაიმედებს მხოლოდ ის, რომ შეიძლება მათ კიდევ დიდხანს ვერ ილაპარაკონ ქართული კულტურის სახელით.

**ბესარიონ ჟღენტი.**

9 მაისი. ტფილისი.

— —

**რედაქციის შენიშვნა:** ავტორს ბევრში არ ვეთანხმებით, მაგრამ საშუალებას ვაძლევთ გამოთქვას თავისი აზრი.

# ჩვენი სკოლა

## ქართული ენის სწავლების შესახებ სომხის სკოლებში.

ზნეობრივი მოვალეობაა ყოველი შეგნებული ადამიანისა და მით უმეტეს პედაგოგისა, მიაქციოს ყურადღება სკოლებში არსებულ არა ნორმალურ, ანტიპედაგოგიურ მოვლენას, მიუთითოს მასზე სხვებს და შეეცადოს მის გამოსწორებას.

სამწუხაროდ ასეთი მოვლენები მრავალია არსებულ შრომის სკოლებში.

მათ შორის ყველაზე უფრო ყურადღების ღირსია არა სასურველ ნიადაგზე დაყენებული სწავლა ქართული ენისა არა ქართულ სასწავლებლებში. ამ მხრივ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელნი სრულ დაუდევრობასა და გულცივობას იჩენენ.

ეს გარემოება მით უმეტეს ყურადღების ღირსია, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებლად საჭიროა ყოველი საქართველოში მცხოვრებ ადამიანისათვის, როგორც სახელმწიფო ენა.

ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს სომხთა შრომის სკოლები, სადაც ქართული ენის შესწავლა იწყება მეოთხე ჯგუფიდან, მაგრამ დაწყებული ამ ჯგუფიდან მერვეს უკანასკნელ ჯგუფამდე ქართული ენის ცოდნა მოწაფეებისა სხვა და სხვა მხრივაა. ამ მხრივ მოწაფეები შეიძლება გაიყოს სამ ნაწილად:

1) მომზადება მოწაფეთა 50 პროც. დამაკმაყოფილებელია; მათ შეუძლიათ ქართული ენის შესწავლა არსებული პროგრამის მიხედვით. 2), დაახლოვებით მოწაფეთა 30 პროც. სრულიად არ იცის ქართული ენა და არც კი სთვლიან საჭიროდ მის შესწავლას.

ეს მოვლენა მეტად არა სასურველია და სამწუხარო.

# თამარ მეფის მეხოტბენი

(გაგრძელება *)

2.

„თამარიანი“.

ამ თხზულების დედანი, ვით „აბდულმესიანისა“ და „ვეფხვის-ტყაოსნისა“, არ შენახულა, ნაანდერძევ სახით-კი იგი გაუგებარი გამხდარა დღევანდელ მკითხველისთვის. ამის მიზეზად უნდა ჩავთვალოთ არა ის, რომ ასე გაუგებრად თვით მისმა ავტორმა „ჩახრუხაძემ“ გამოსცა ეს დიდებული თხზულება, არამედ დროთა სივრძე, რომლის განმავლობაში იგი გადამწერ-გადმომწერლებს მრავალნაირად შეურყვნიათ და დაუბნელებიათ.

ამას წინად, 1902 წელს, მარრი შეუდგა დაბნელებულ „თამარიანის“ გამომზევებასა და გაშუქებას, მის თავდაპირვანდელ სახის აღდგენას, და დაჰყო იგი 12 ოდად, მაგრამ აკადემიკოსის ამგვარ შრომამ დიდებულ ქმნილებას ძველი სიბნელე ვერ მოაცილა: ჩვენის ფიქრით, არა თუ პირვანდელი ტექსტის გაწყობილობა ვერ აღადგინა, არამედ თვით ნაანდერძევი მისი სახეც უფრო აურია და წინანდელზე უმეტ გაუგებარი გაჰხადა.

მარს თუ „თავის ოდების“ შესადგენად თხზულების ხანები მთლიანად გადაესხ-გადმოესხა და ყველა ამ ხანებისთვის თავთავიანთი თავდაპირვანდელი ბინა მიეჩემებინა, ეს დიალაც მოსაწონი იქნებოდა, მაგრამ მან ეს არ აკმარა ძველადვე ნაწვალებ ტექსტს, მრავალთ უმრავლესი ხანა ნაკუწ-ნაგლეჯად აქცია და ამ ნამუსრევებიდან შეაკოწიწა ესა თუ ის „ოდა“. აი, მაგ. ის მასალა, რომელიც ამოიღო მარმა „თამარიანიდან“ შესადგენად „თავის მე-12 ოდისა“.

ეს „ოდა“ მარს დაუწყია ჩუბინაშვილის გამოცემის მე-87 ხანას პირველ და მეორე ტაეპიდან (სტრიქონიდან), მისთვის მიუბამ 90 ხანას მესამე ტაეპი, ამისთვის 53 ხანას მეორე და მესამე ტაეპი (სტრიქონი), მერე იმავე 90-ის პირველი და მეორე, კიდევ 53-ის პირველი, 52-ის მეორე, მესამე და მეოთხე, 54-ის 1 და 2, 58-ის მესამე, იმავე 53 ის მეოთხე, 4-ის მეორე, 5-ის პირველი, 7-ის 2 და 3, 88-ის მეოთხე, 52-ის პირველი, 54-ის მესამე, 89-ის ოთხივე, 8-ის 1, 2 და 3, 9-ის ოთხივე, 10 ის ოთხივ, 11-ის ოთხივე, 12-ის სამი, 13-ის ოთხივე, 14-ის პირველი, 12-ის მეოთხე, კიდევ 14-ის მეორე, მესამე და მეოთხე, 15-ის 1, 2 და 3, 16-ის მეორე, მესამე და მეოთხე, 17-ის ოთხივე, 18-ის ოთხივე, 19-ის პირველი და მეორე.

ადვილი წარმოსადგენია, რას უნდა წარმოადგინდეს ესეთი ნაკუწებიდან შედგენილი „მე-12 ოდა მარრისა“, ან რაღა აზრი შერჩებოდათ იმ ხანებს, რომლებიდანაც ამოგლეჯილია ეს თუ ის ტაეპი, გინა ესეთი ამოგლეჯა რაგვარად დააბნელებდა გაჩანაგებულ ხანებზე დამოკიდებულ წინა თუ უკანა ხანებს!

ესეთი მეთოდი ძველ თხზულებათა ტექსტის აღდგენის საქმეში ყოვლად შეუწყნარებელია. მარს „თამარიანის“ ტექსტი-კი არ აღუდგენია, ამ ტექსტის მასალით შეუდგენია 12 ოდა, მაგრამ ეს ოდები უკვე თხზულებაა არა „ჩახრუხაძისა“, არამედ თვით ნიკოლოზ მარრისა!.

ჩვენ რომ შეუდექით „თამარიანის“ შესწავლას, შევამჩნიეთ, რომ იგი შეიცავს მრავალგვარ მასალას და შევნიშნეთ, რომ ეს მასალა დალაგებულია არა დედნის წეს-რიგზე, ლოღიკურ მსჯელობის თანდათანობის განვითარების მიხედვით, არამედ ამ დედნის მერმინდელ გადამწერის გემოვნების საფეროპით: რადგან მის წინ მდებარე წიგნს ერქვა „თამარიანი“, გადამწერს თამარის შესახები ხანანი გადმოუსხამს წინ, წინა ხანები უკან, შუალანი ბოლოს, მაგ, ნუსხაში № 656 ხანა 52 გადასმულია 90-ს შემდეგ, დაბეჭდილებში ხანები 28, 29, 30 და 31 ხელმეორედ დაბეჭდილია ხანებადაც 109, 110, 111 და 112.

ამას გარდა, შევნიშნეთ აგრეთვე, რომ „თამარიანის“ ავტორი რამე ერთ ანუ ერთნაირ საგნის თუ აზრის გამოსათქმელად თითქმის მუდამ ხმარობს ერთნაირ წყობილს, მაგ. თამარის ზეგარდმო მოწოდებისათვის მიუძღვნია ხანები 1—15 და ამ ხანების წყობილი ყველგან არის „იერსა“. დედნის გადამწერს—კი ეს ერთ მთლიან აზრის გამომხატველი 15 ხანა (1—15) მოუფენია მთელს თხზულებაში, ასე: 1, 2, 3, 65 (=4), 66 (=5), 67 (=61, 68 =71, 69 (=8), 104 (=9), 105 (=10, 106 (=11), 107 (=12), 108 (=13), 113 (=14) და 20 (=151.

რახან მივაგნეთ ლირიკულ პოემის „თამარიანის“ ავტორის ილეთს და მის ქმნილების ხანათა გადამსხმელ-გადმომსხმელის ნასაქმარს, ჩვენ შევუდექით მის პირველ სახის აღდგენის საქმეს და გვგონია, მივაღწიეთ წადილს და დიდებული თხზულების ხანები უკვე ჩალაგდა თავის სათანადო რუსხმულში.

ჩვენ მიერ განწყობის შემდეგ „თამარიანმა“ მიიღო ასეთი სახე:

ხანები 1, 2 და 3 დაშთა ნაანდერძევ ადგილსავე.

ამას მოება ხანები: 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13. 14 და 15 (დაბეჭდილების 65, 66, 67, 68. 69. 104, 105, 106, 107, 108, 113 და 20). ამ ხანებში თამარის მეფედ მოწოდების ასახსნელად მოკლედ და მორჭმით გალექსილია ბიბლიური გადმოცემა შესახებ ქვეყნის დაბადებისა, კაცის შეცოდებისა, წარღვნისა, ქრისტეს განკაცებისა და თამარისთვის დავალებისა აღრაცხოს ტომნი, მცთომნი-უცთომნი, უსიტყვ-მოსიტყვნი.

ხანებში 16, 17, 18, 19, (დაბეჭდ. 21, 22, 23, 24) შვენიერ თამარის შესხმაა ზეგარდმო მოწოდების-გამო.

ხანები 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29 30, 31, 32, 33 (დაბეჭდ. 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50) ავტორი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ ვის შეჰფერის იყოს ქმრად თამარისა და აქ იგი შეეხება აგრეთვე მის საქმროს წინასწარ განცდას. ამ უკანასკნელისთვის მიძღვნილია ხანები 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43 (დაბეჭდ. 51, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64).

ხანებში 44, 45, 46, 47, 48, 49, 50 (დაბ. 80, 70, 71, 72, 73, 74, 75) თამარის ქებაა დავითის მოწვევისა გამო.

ხანებში 51—95 (დაბ. 76, 77, 78, 79, 55, 92, 93, 94, 95, 96, 97, 25, 26, 27, 98, 99, 100, 101, 102, 103, 81, 82, 83, 84, 36, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 87, 88, 89, 90) გალექსილია თამარ-დავითის ომები მატიანეში აღნიშნულ თარიღების სისწორით.

ხანებში 96—107 (დაბ. 91, 52, 53, 54, 28=109, 29=110, 30=111, 31=112, 32, 33, 34, 35) აღნიშნულია უებრო ღირსებანი გმირ თამარდავითისა.

ხანებში 108—109 დასკვნაა (დაბეჭდ. 85, 86).

ხანებში 110 და 111 (დაბ. 114, 115) ავტორის განცხადებაა, რომ აწ ახალის თავში იწყებს სხვა საშუქარსა სასაქებოსა.

სულ ჩვენს გაწყობილში 111 ხანაა, ხოლო დაბეჭდილში 115. ასეთი განსხვავება წარმოსდგა იმიტომ, რომ, როგორც ზევითაც ვთქვით, ხანები 28, 29, 29, 30 და 31 დაბეჭდილებში გამეორებულია ბოლოშიაც (ხანები 109, 110, 111, 112) და ეს ხანები კი არ არის ხელნაწერ ნუსხაშიაც (№ 556).

როგორც სჩანს, „ჩახრუხაძეს“ ქმნილება ყოფილა ერთი მთლიანი თხზულება, აგებული წინასწარ შედგენილ გეგმაზე: თვით ბერძენთ ჩინებული ფილოსოფოსებიც ვერ შესძლებენო ღირსეულად შეაქონ თამარი. მხოლოდ ავტორს ძალუძსო ასეთი შექება, რადგან თვით თამარმა მის გულში სთესა ქების შესაძლებლობის სიბრძნე. თამარი მეფედ მოწვეულიაო აღსარიცხავად უსიტყვ მოსიტყვთა. ამ დავალების შესასრულებლად იგი თანაშემწედ იწვევს დავით სოსლანს და ორთავენი ბრწყინვალედ ასრულებენ ღვთის მიერ დავალებულ საქმეს. მათი სწორი არ არისო თვით მეომრობის ღმერთი არეს (ხ. 108=85).

მარრი კი ამ მთელს, როგორც ვთქვით, ჰყოფს თორმეტ ოდად!..

პოემის დაწერის დათარიღებისთვის გვეხმარებიან ხანები 84—91, რომელშიაც გალექსილია ბოლოსტიკეს ლაშქრობის (1204 წლ.) ამბავი. მეორეს მხრით, ხანაში 107 გამოთხოვებაა დავით სოსლანისა, და ეს კი გარდაიცვალა 1207 წელს *); ხანებში 108—109 მიმართვაა ცოცხალ თამარისადმი, მაგრამ მიმდევნო 110 ხანაში კი უკვე სამძიმრის სიტყვებია: „აჰა, აწ რა ვქმნა თქვენგან გაყრილმან“. სჩანს, 108—109 ხანების დაწერის დროს თუ თამარი ცოცხალი იყო, 110 ხანის დაწერისას კი იგი უნდა ავტორისაგან უკვე „გაყრილი“, ე. ი. მკვდარი ყოფილიყო. ამ ცნობების მიხედვით, ჩვენ დავდებთ, რომ „თამარიანის“ წერა უნდა დაწყებულიყო ადრევე, მაგრამ უკანასკნელი ხანები კი დაწერილიყო 1212 წლებში.

---

*) იხ. „ტრიბუნა“ № 464.

*) იხ. ამ თარიღის შესახებ ივ. ჯავახიშვილის ქართველ ერის ისტორია, წ. 2, გვ. 616—618.

ეს მოწაფეები გაკვეთილის დროს სრულიად უსაქმოდ სხედან და მხოლოდ ხელს უშლიან მაცადინობის დროს დანარჩენებს.

5 დაახლოვებით 20 პროც. მოწაფეებისა ისე კარგად არის მომზადებული, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ გაიარონ კურსი ქართული სკოლებისთვის არსებული პროგრამითაც კი და სრულიად არ აინტერესებთ ის მოთხრობები, რომლებიც „დედა ენაში“ არიან მოთავსებულნი. მათ თავისუფლად შეუძლიათ გაიგონ დედა აზრი, ისეთი ლექსებისა, როგორც, მაგალითად, „სესიას ფიქრები“, „ბერუას ჩაფიქრება“ და სხვა რაფიელ ერისთავისა, როგორც გამომხატველნი ქართველი გლეხის ყოფა-ცხოვრებისა. ანდა კიდევ დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, დ. არდაზიანის „სოლომონ მეჯლანუაშვილი“, პირველი, როგორც გამომხატველნი საქართველოს ბატონ-ყმური ცხოვრებისა და მეორე, როგორც მაჩვენებელი კაპიტალისტური კლასის წარმოშობისა და განვითარებისა საქართველოში. ამ მოწაფეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ლექსების წერაშიდაც კი ვარჯიშობენ.

ასეთ არა ნორმალურ მოვლენას სრულიად არა სასურველი შედეგები მოაქვს: ჯერ ერთი, რომ ასეთ პირობებში მოწაფეები ძლიერ ნაკლებ ცოდნას იძენენ და მეორედ, რაც უფრო სამწუხაროა, მოწაფეებს ეკარგებათ სიყვარული და სურვილი ქართული ენის შესწავლისა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი უნდა იყოს მეტად დახელოვნებული და პედაგოგიურის ნიჭით დაჯილდოებულ, რომ მოწაფეებს შეაყვაროს ქართული ენა, დააინტერესოს მითი, გაუღვიძოს სურვილი მისი შესწავლისა, მისცეს ხალისი მეცადინეობისა, მაგრამ ასეთი ნიჭით დაჯილდოებულნი მასწავლებლები სამწუხაროდ ძლიერ ცოტაა.

მთავარი მიზეზი ამ მოვლენის ისაა, რომ ზოგიერთი სკოლის გამგეები სრულიად განურჩევლად იღებენ მოწაფეებს ქართული ენის ცოდნის მხრივ და შემდეგ ჯგუფებში გადაყვანის დროსაც ძლიერ „ლმობიერათ“ ეპყრობიან მათ.

ასეთი დაუდევრობა ზოგიერთ პედაგოგისა, სრულიად შეუწყნარებელია (მე ვამბობ „ზოგიერთი“, რადგან მრავალი მათგანი საკმაო შეგნებას იჩენენ ამ მოვლენის მოსასპობად და სკოლების ინსტრუქტორიც ენერგიულ ზომებს ხმარობს).

მაგრამ ეს მოვლენა რომ დროით მოისპოს, მეტად სასურველია მოხდეს მოწაფეთა გადაჯგუფება (რაიონებში) სასწავლებლიდან სასწავლებელში ქართული ენის ცოდნის მიხედვით. ზოგ სასწავლებელში მოათავსონ სრულიად უცოდინარნი და ძლიერ ჩამორჩენილები და ზოგში კი საკმაოდ მომზადებულნი და ასეთ სკოლებში გაიარონ ეს ენა **ქართული სკოლებისათვის არსებული პროგრამით:**

ასეთი გადაჯგუფება უფრო პედაგოგიური და მიზან შეწონილი იქნება.

ყოველი შეგნებული ადამიანისთვის ცხადია, თუ როგორ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქართული ენის ცოდნა საქართველოში მცხოვრებ ადამიანისათვის რა ეროვნებისაც უნდა იყვეს იგი, რადგან ქართული ენის შესწავლა მისცემს მას საშვალებას შეისწავლოს ქართველი ერის ლიტერატურა და ისტორია

ამ უკანასკნელების ცოდნა კი გააცნობთ მათ თვით ქართველ ერს, მის კულტურასა და ზნე-ჩვეულებას, მის ხასიათს და მისწრაფებას და ყოველ მის კარგ და ცუდ მხარეებს, ამით ისინი დაუახლოვდებიან ქართველ ერს სულიერად, დაუმეგობრდებიან მას და ის [illegible] ანტაგონიზმი, რომელსაც დღემდინ ჰქონდა ადგილი და, სამწუხაროდ ფარულად დღესაც აქვს, მოისპობა, გაჰქრება და მის მაგიერ მათ შორის დამყარდება მეგობრული და ძმური კავშირი.

ნაციონალური შუღლის და განხეთქილების მოსასპობად, რასაც მეტად არა სასურველი შედეგები მოაქვს, ეს ზომები უფრო რადიკალური გამოდგება, ვიდრე მიტინგებზე წარმოთქმული ლამაზი სიტყვები.

ამგვარად ქართული ენის შესწავლა საქართველოში მცხოვრებ არა ქართველთათვის მეტად დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც თვით ქართველ ერს, ითსე იმ არა ქართველ ელემენტებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და სურთ მომავალშიდაც აქ იცხოვრონ.

**მასწავლებელი სიმონგულიანი.**

# ვანო ფალიაშვილი

(ბენეფისის გამო)



მარტო გარეგანი პლასტიური მოძრაობა: მარჯვენა ხელის მტკიცე და მოკვეთილი გაშლა, მარცხენასი კი მსუბუქი, ელასტიური აყოლება—უკვე თავისთავად ჰქმნის სილამაზის ილიუზიას.

სალოტბარო ჯოხის მოქნევაზე მაყურებელი წინადვე ჰგრძნობს—რა ხასიათის ხმაური მოჰყვება ამ მოქნევას, თითქოს ამ ჯადოსან ჯოხის წვერზე იყოს გამობმული ესა თუ ის ბგერა და არა ორკესტრში.

**ვანო ფალიაშვილი** დიდი უნარისა და ტემპერამენტის ლოტბარია. ამასთანავე მტკიცე დისციპლინის მქონე, რითაც იგი დუღაბივით აკავშირებს ცალკე მესაკრავეთა მეტყველებას და მომღერალთა ინდივიდუალობას.

მას აქვს ნამდვილი საორკესტრო სმენა, რაც თვალნათლივად განირჩევა ჩვეულებრივ მუსიკალური სმენისაგან. ორკესტრის თვით ღრიანცელამდე მიღწეულ ხმაურში მას არ გამოეპარება რომელიმე საკრავის ოდნავი სიყალბე და კილოსაგან გადაცდენა.

როგორც ომში გამოცდილი და სამანევრო საიდუმლოებას მიმწვდარი სარდალი ჯარს,—ისე განაგებს იგი ორკესტრსა და ხოროს.

მან არ იცის დაფრთხობა, როდესაც რომელიმე რიტმ—დაკარგული მეორკესტრე ან მომღერალი, ან გუნდი ცალკერძად მიიჩქარის, ან დუნედი მიიზლაზნება და ამით არღვევს ჰარმონიის წონასწორობას. ამისთანა შემთხვევაში იგი ულმობელად ექვეთება ხოლმე მეამბოხეს და სასწრაფოდ ჩააგდებს სათანადო ტონალობაში.

ამა თუ იმ ნაწარმოების ინტერპრეტაცია მისი ყოველთვის ორიგინალურია და ტრაფარეტს აცილებული. მან კარგად იცის, რომ ყოველი ხელოვნების, (განსაკუთრებით კი მუსიკაში) მეტყველება კონტრასტებზეა დამყარებული და, ამის გამო, მისი გადმოცემა ნიუანსებით არის აღსავსე. იქაც კი, სადაც ორკესტრის ჰანგები მდიდარი როდია მრავალფეროვნებით,—ვანო ფალიაშვილის მხატვრული გემო პოულობს ხოლმე ორკესტრის ასამეტყველებელ მასალას, თავისებური ტემპი იქნება იგი თუ ბგერათა გამოთქმა.

ამასთანავე იგი იშვიათი აკომპანიატორია და დიდი კეთილისმყოფელი მომღერლებისათვის. საკვირველის ზედმიწევნობით იცის თვითეული მათგანის ავკარგი, ძალა და სისუსტე. ამ თვისებათა მიხედვით იგი ორკესტრს ისე ადევნებს, რომ არ დაიჩრდილოს მომღერლის ღირსება და არ გამოაშკარავდეს მისი ნაკლი.

დიდ ანსამბლებში („აიდა“, „ჰუგენოტები“, „აბესალომ და ეთერი“, „ოტელლო“ და სხვ.) იგი შეუდარებელია. ამისთანა მომენტების დროს იგი აღწევს საორკესტრო და ვოკალური ჰანგების შეთავსების უმწვერვალესობას და ჰქმნის სულიერი აღძვრის ნამდვილ ილიუზიას.

ერთის სიტყვით, დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ოპერის სამუსიკო ნაწილი საიმედო ხელოვანის ხელშია.

პარასკევს, ამა მაისის 11-ს, დანიშნულია მისი ბენეფისი. დაიდგმის რიჰარდ **ვაგნერის** შესანიშნავი ოპერა **„ლოენგრინი“**. ეს ოპერა, უკვე რამდენიმე სეზონია, ტფილისის საზოგადოებას არ უნახავს.

მუსიკალური რეფორმატორი რიჰარდ ვაგნერი ამ ოპერაში ჯერ კიდევ არ გაურბის ძველ ტრადიციას მელოდიური ჰანგების შექმნისას, რაზედაც შემდეგში სრულიად აიღო ხელი. ლოენგრინისა და ელზას პარტიებში მრავლად მოიპოვება ხმა-ტკბილი ჰანგები.

ხოლო, რაც შეეხება საორკესტრო მუსიკას, აქ იგი უაღრესად დიდებულია და ყოველი საორკესტრო ფრაზა გენიოსობის იერით არის მოსილი. მაგალითად, შესანიშნავია ოპერის შესავალი და საქორწინო ლიტანია.

ორკესტრსა და ლოტბარს დიდი სამუშაო აქვთ. სამუშაო, რომელშიაც კომპოზიტორის დიდი შემოქმედება მოითხოვს აღმასრულებელთა მხატვრულ დონემდე ამაღლებას. ორკესტრი თორმეტი კაცით გადიდებულია; ვაგნერის ოპერებისათვის ჩვენი თეატრის საოპერო ორკესტრი მცირერიცხოვანია. საჭიროა სიმფონიური ორკესტრი, რადგანაც ვაგნერი უაღრესი სიმფონისტია, თუმცა არც ერთი სიმფონია, როგორც მუსიკის უწყებული ფორმის ნაწარმოები, არ შეუქმნია.

ოპერაში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები: ქ-ნნი **ბოკოვა** (ელზა) და **მუხტაროვა** (ოტრუდა) და ბ-ნნი **ხარაჯიშვილი** (ლოენგრინ) **ინაშვილი** (ტელრამუნდ) **ხაბინინი** (ჰენრიხ მეფე) და **ქარციგაძე** (ჰეროლდი).

ოპერას დასდგამს **კოტე მარჯანიშვილი**. დეკორაციები დახატულია **ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ.**

ნ.

# საუბარი გლეხთან

**2. მრეწველობა. შეერთებული მიწად-მოქმედებასთან.**

რამდენადაც მრავალ-ფეროვანია წარმოებანი რომელიმე საზოგადოებაში თუ ხალხში და ქვეყანაში, იმდენადვე მეტი კეთილ-დღეობაა მათში. რამდენადაც თანაბრად არის გავრცელებული რომელიმე საზოგადოებაში თუ ერში მრეწველობა, მიწად-მოქმედება, გონებრივი მუშაობა, ხელოსნობა, და მეცნიერებანი, იმდენადვე მეტია მათში სიმდიდრე და კეთილდღეობა. ასევე, იმდენადვე მეტს სარგებლობას და სიკეთეს სძენს კაცი საზოგადოებას თუ ერს, რამდენადაც მრავალფეროვანია მისი უნარი მოქმედებისა და მუშაობისა.

ამ ორმოცი თუ სამოცი წლის წინედ, რომ გვექადაგნა უახლოვესი კავშირი მრეწველობასა და მიწად-მოქმედებას შორის, არავინ დაგვიჯერებდა, რადგანაც ყოვლად განუვითარებელი იყო მაშინ როგორც საქარხნო მრეწველობა და მასში ხმარებული უხეში მანქანები, ისე უაღრესად ჩამორჩენილიყო თვით მიწად-მოქმედებაც...

უკანასკნელ დროში კი ისე განვითარდა და გაუბრალოვდა-გამარტივდა ბევრი მანქანა და თვით სამრეწველო და სამეურნეო სისტემები და ცოდნა, რომ მრეწველობისა და მეურნეობის ყველა დარგებში ყოვლად ბუნებრივი და ადვილი გახდა დაახლოვება და შეერთება მრეწველობისა მიწად-მოქმედებასთან. კვლევა ძიებანი და შესწავლა მრეწველობისა და მეურნეობის მიმდინარეობისა დღეს სხვადასხვა ქვეყნებში აშკარად ამტკიცებენ ამას, ამტკიცებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ მრეწველობა აღარ კმაყოფილდება ცენტრებით და შეუკავებელის მდინარებით მიიწევს პროვინციებისკენ და იმ სოფლებისკენ რომელთაც დღევანდლამდე გაგონებითაც არ იცოდნენ რა არის მრეწველობა და მანქანა...

ეკონომისტები დღევანდლამდე დაჟინებით წინასწარმეტყველებდენ წვრილი სამრეწველო წარმოების მოსპობას და ჩაყლაპვას მსხვილ წარმოებათაგან, მაგრამ ყველა ეს მათი წინასწარმეტყველებანი სულ უსაფუძლო-უნიადაგო გამოდგა და წვრილი წარმოებანი, რაც დრო მიდის, სწრაფად ვრცელდება და ფეხს იკიდებს თვით უკანასკნელ სოფ-

ვიკითხოთ ახლა, ვინ იყო ავტორი „თამარიანისა?“

ჯერ ისევ 1830 წელს „თამარიანის“ ავტორად ბროსეს ეგონა შოთა რუსთაველი. მარსაც თავის მხრივ ჰგონია, რომ ამ თხზულების ავტორია „შოთა რუსთაველი ჩახრუხაძე“ (тексты и разыск. IV, 59, 76). ე. ი. მარრის აზრით შოთას გვარი უნდა იყოს ჩახრუხაძე.

ამ კითხვის შესახებ ჩვენ ასე ვმსჯელობთ.

„ვეფხის-ტყაოსნის“ მესამე ხანაში შოთა გვპირდება იმის შექებას ანუ იმის ხოტბით შესხმას, რომელსაც ჰშვენის თამარის ხმლის ტარება, მაშასადამე მისი ქმრობაც, და ამგვარი შექება—კი არა სჩანს თვით თხზულებაში, თუ, რაღა თქმა უნდა, ამგვარ შექებად არ მივიღეთ მისი სიმეტის ავთანდილის შექება იმ გმირულ მოქმედებისა და გამჭრიახობისთვის, რომელიც გამოიჩინა ტარიელის საქმეთა გამოსაგებად და თავის და თინათინის ხვაშიადის კეთილად დასაგვირგვინებლად.

მეორეს მხრით, მე-26 ხანაში ავტორი (შოთა) აცხადებს: „მას ვაქებ, ვინცა **მიქია**, მისი სახელი შეფარქვევით ქვემორე მითქვამს, **მიქია**“.

სიტყვებიდან „მას ვაქებ ვინცა მიქია“ ცხადდება რომ ქვემორე დასახელებული და ნაქები პირი (თინათინი მას უკვე ჰყოლია ნაქები, მაგრამ არა სჩანს, სად და როდის.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ეპილოგში ხ. 1574) შოთა კვლავ გვაუწყებს დავით სოსლანის შესახებ: „დავითის ქნარი ვითა ვთქვენე სიჩალხე-სიხაფეთანი“.

აქ „ვთქვენე“ არის იგივე ვთქვი, ვთქვენ (შეად. 555: ვითა გაგახარნე). ავტორი აქ გვამცნევს: დავით სოსლანის ნაქნარი (=ქმნილი), როგორც ვთქვი, სიჩალხე-სიხაფეთანი, ე. ი. დავითის—მიერ შესრულებული სიჩარხე თანა სიხაფე უკვე მითქვამსო.

ყველა ნათქვამიდან ცხადდება, რომ ავქსონს (შოთას) თამარ-დავითის ნაქნარი (=ნამოღვაწევი) სადღაც და როდისღაც შეუქია.

სად? დღემდის არა სჩანდა.

„თამარიანის“ ხელნაწერ ნუსხის № 656 უნივ. მუზეუმისა) 110 ხანა ნათელს ჰფენს არა თუ დასმულ კითხვას, არამედ, ჩვენის ფიქრით, სწყვეტს სხვა კითხვასაც, სახელდობრ, რომ შოთა არის ავტორი ორთავე თხზულებისა, „თამარიანისა“ და „ვეფხისტყაოსნისა“. აი რას ამბობს ამ ხელნაწერის ხსენებული ხანა თამარისადმი მიმართვაში:

„თუ ქებით გიქო, სხვა რაღა გიქო,
ამად ვერ ვიტყვი შენად საფერსა.
აწყა დავიწყებ, თუ ლარს ვაგებ .
სასაქებოსა **აწ ამა თავსა**“.

თუ რომელია ეს „აწ ამა თავსა“ ანუ „აწ ესე თავი“, იხილება მიმდევნო 111 ხანადგან, საცა ვკითხულობთ:

„მოხევაძეთა ჩახრუხაძეთა
ექო თამარი მეფე წყლიანი,
მისი **სიმეტე**, ბრძენთა სირეტე
თინათინ ვაქო ბაღი წყლიანი,
ა **ეს** თინათინ, ნუ **ის** თინათინ,
არაბეთს იყო სულადიანი,
ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი,
სამოთხის ვარდი, პირად მზიანი“.

ჩვენ აქედენ ერთი დასკვნა გამოგვყავს, სახელდობრ, რომ „აწ ამა თავსა“ თამარიანის ავტორი გულისხმობს „ვეფხის ტყაოსანს“, ვინაითგან თამარის „სიმეტე თინათინი“, შექებულია მხოლოდ „ვეფხის ტყაოსანში“.

სჩანს, ვეფხის ტყაოსნის „ქვემორე ქებული“ (ხანა 26) ქალი (თინათინი) მის ნამდვილ სახელით ავტორს წინად შეუქია თავის თხზულების სხვა „თავში“, „თამარიანში“.

რაიც შეეხება „ჩახრუხაძეს“, იგი ვერ იქნებოდა შოთას გვარი, არამედ მხოლოდ შავთელისა.

ამ შავთელმა პირველმა შემოიღო აგრედ-წოდებული ჩახრუხაული ლექსთ წყობა. ამ ჩახრუხაულ ლექსთ-წყობით თავიდან ბოლომდე დაწერილია „აბდულ მესიანი“, მაშინ, როდესაც „თამარიანის“ ლექსთ-წყობა შერეულია, ხან ნამდვილი ჩახრუხაული „აბდულ-მესიანური“, ხან 16—მარცლოვანი შაირი, მაგ. ხანები 24, 84, 86. ამ 16—მარცლოვან შაირითვე ხომ დაწერილია თვით „ვეფხის-ტყაოსანი“. სჩანს, თამარიანში შოთა ხან ჰბაძავდა შავთელის ჩახრუხაულს, ხან მიჰმართავდა თავის შაირს, რომელმაც ბოლოს „ვეფხის ტყაოსანში“ საბოლოოდ გადასძლია წინანდელ ჩახრუხაულს.

შოთასებ საბა ორბელიანიც ჰბაძავს შავთელის ლექსთ-წყობას „ქილილა და დამანაში“ და უწოდებს მას „ჩახრუხაულს“. შეად.

| შავთ. | ხაბაზ „ჩახრუხაული“ |
|---|---|
| სამებით ღმერთმან, | ჩემი სამყოფი, |
| არსებით ერთმან | ცნობის დამყოფი (გვ. 160) |
| ძე ადამისი | ვარდნი, იანი |
| მსგავსად ამისი | ჰყვავის მზიანი (162) |
| მადლისა პირი, | ბნელნი ღამენი, |
| სიბრძნის სადგური. | ჭირნი მწარენი (44). |

„თამარიანშიაც“ ზოგან წყობილი ასეთივეა, მაგ.

„შჯულისა ლარი, ქვეყნისა ლარი“, ზოგანკი, როგორც „ვიქვით, შაირებრი, მაგ. თამარ წყნარი, შესაწყნარი“ (24), „შენ მწუნობი ხარ მნათობთა“... (85).

რახან „თამარიანის“ ავტორად ჩვენ გვესახება შოთა, ამავე „თამარიანიდან“ მოვიყვანთ ერთ ადგილს, რომელმაც შეიძლება მიგვაგნებინოს დიდებული პოეტის ჩამომავლობის კვალს.

110 ხანაში ავტორი მიჰმართავს თამარს სიტყვებით: **„შენით სიცოცხლე მქონდა მჩუქარხა“.**

ვფიქრობთ, ავტორი იქნებოდა ისეთი დამნაშავე, რომელიც უნდა დასჯილიყო სიკვდილით, მაგრამ ასეთი სასჯელი ეპატია თამარის მეოხებით და იგი სიკვდილს გადარჩა. შეიძლება დავდოთ, რომ ამისთანა „სიცოცხლე ნაჩუქრად“ იყო შოთა ართოვაჩოს ძე (იხ. ამის შესახებ ჩვენი მოსაზრება „შოთა რუსთაველში“).

—

ვასკვნით: ა) „ჩახრუაული“ უნდა იყოს ლექსი იოანე შავთელისა, ერის კაცობაში ჩახრუხაძისა, და ბ) „თამარიანი“ უნდა იყოს თხზულება „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთველისა.

**მ. ჯანაშვილი.**

—

## კორექტურული შეცდომანი

**წერილში „თამარ მეფის მეხოტბენი“.**

(„ტრიბუნა“ № 462).

სვეტი 1: აქილესურ=აქილეურ, ფარ-შიმშერთ =ფარ-შიმშერი, 1144=1177.

„ 2: მას შემდეგ=მის..., დაუხშია=დაუმხია, ჰაეროვანნი=ჰერ-კახნი, რაღა თქა=რაღა თქმა, ორბელიანი=ორბელიანთ.

„ 3: თავის მამას=თავის მამის, მამასა თვისასა = მამისა თვისისა, ტფილის = ტფილისს, ისევვ... სოფლის=ისევ სოფელს, საზმნი=რაზმებით, 971=97).

„ 4: მოიწმეს=მოიხმეს, სრულათა=სრულითა, გააქელვინეს=გააქცივნეს, რომელთ=რომელი, მთხრობლად=მთხრებლად, წარმომგზავნელთ=წარმგზავნელი, გეორგისელებმა=გიორგისელებმა, გლეხნი დაჰკიდესო=გლეხნი, დაჰკიდესო, მეფის გაზრდილი=მეფის გამზრდელი, უქვე=უკვე.

„ 5: გ. 41=241.

„ 6: ისეთ საჭირო=ისე, ქართ. საქადთ. =ქართ. სამართლ., ამ მხრით=ამ მხრივ, იქვსი=იქვე, ერთგულობათა=ერთგულობითა, თუ თვალ. ახვაშია=ნუ თვალ-ახვამთ, სალორიაძე=სალირისძე, წინა-უკბო=წინა უკმო, რალაცა=დალაცა.

„ 7: მიქალ=მიქელ, ქცევა-ზოლს=ქცევაზმას, მახვილისა=მახვილსა, 4 ცხ.=ქ. ცხ., მბრძანებლობისა=მბრძოლობისა, ვითარმც=ვითარმედ, უხმათაგან=უხამთაგან.

„ 8: შეშქენ II+III წ.=ბეშქენ II, ყ. ჯაყელს=ყუთლუ ჯაყელს, გარდაცვალების=გარდავლენის, ოსიურის=ოსიუმის.

„ 9: ველოსა=ველსა, უწყალობდეთ=ვწყალობდეთ, უბედურება=უკეთურება, ყუთლუს მიბარება=ყუთლუს მიბირება, რომ ერთი=რომ ესეთი, ყუთლურ=ყუთლუს, სომხეთ მეფის=სომეხთ...

„ 10: ყუიასარს... რომ ის=ყუბასარს...რომ იქ, ანტონი ამირ-სპასალარი=ანტონი, ამირსპასალარად, ჩუნჩერალობა=ჩუნჩერახობა, განაზესა=განაწესა, ჯაყსლი=ჯაყელი, ხვასრო=ხვასრო შანშაბანუმისთვის, ვითარ=ვითარ მზე-ჭაბუკ მზისათვის ხაზართასა.

„ 11: რომლისა=რომელსა, მეფისგან=მეფის ძე, ჰუვეთათა=ჰუნეთათა, სთინდა=სთნდა, ჩვეულებისა=ჩვეულებასა, ემისა=ამისა..

„ 12: მიმალვრებულიყო=მიმყოვრებულიყო, სავალ კარის=სამეფო კარს, რაღაც მოითხოვდნენ=რაღათ..., მოწვევის=მოწვევას, ქვეშა=ქვემო, შეჩყენება=შეჩვენება, უორგულობდნენ=უორგულებდნენ, მიმალვრდა=მიმყოვრდა, უშუალოდ=უმეფოდ, ტახტს=ტახტზე,—ამავე სვეტის თავს დაბეჭდილი 20 სტრიქონი („ჩანს... ქორონიკონები“) უნდა მიჰყვეს შენიშვნის ბოლო სიტყვას “გლოვისა“.

ლებშიაც კი, მეტადრე, თუ მათში ვისიმე ანუ რისამე წყალობით გაიმართა ელექტრონის ქარხანა, რომელიც ღამით სინათლეს ხძლევს მცხოვრებლებს და დღისით მამოძრავებელ ძალას.

წინედ მოგებას და შრომის უკანასკნელამდე განაწილებას სთვლიდნენ ერთად-ერთ წყაროდ სიმდიდრისას, ერთად-ერთ ძალად კაცობრიობის წინსვლისათვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის, რომ ადამიანის სიცოცხლეს და ცხოვრებას ყველგან და ყოველთვის თავისი მისწრაფებანი აქვს და ამიტომ ერთა, ადამიანთა და სახელმწიფოთა ცხოვრებამაც სულ სხვა მიმართულება და სხვა შინაარსი მიიღო.

ან, ვინ იტყვის, რომ უაღრესად გაოსტატება (სპეციალიზაცია) რომელიმე საქმეში თუ დარგში, ხელს არ უწყობდეს წარმოების უაღრესად განვითარებას, უაღრეს სისრულემდე აყვანას, მაგრამ ყველასა გვაქვს გამოცდილი. რომ, რამდენადაც რომელიმე შრომა მარტივდება და ადვილად ითვისება ადამიანის მიერ იმდენადვე იგი ერთფეროვანი და მომაბეზრებელი-მოსაწყენი ხდება და მშრომელს ებადება გადაუდებელი სურვილი გაასხვაფეროს თავისი შრომა, შესცვალოს იგი სხვა საქმეზე, სხვა საქმეებშიაც სცადოს თავისი ნიჭი, თავისი ბედი. ერთი სიტყვით, კაცობრიობა მიდის იმ შეგნება-შემეცნებისაკენ, რომ ყოველთვის სასარგებლო როდია საზოგადოებისთვის, რომ ადამიანი მხოლოდ ერთ საქმეზე იყოს მიჩნეული, მთელს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთს რომელიმე საქმეზე იყოს მიჯაჭვული, რომ სამოცი და ორმოცი წლების განმავლობაში კაცი, მაგალითად, სულ ნახშირის ზიდვაში იყოს მადნიდამ ამა თუ იმ წერტილამდის, რის გამოც ადამიანი, ეს მეფე და პყრობელი მსოფლიოსი ნამდვილ ყეყეჩ ავტომატად ხდება!..

არა ბუნებრივია სწორედ ასევე და თან დიდად მავნებელი და დასახელებულ ავტომატობამდე მიმყვანელი გასპეციალისტება-გაოსტატება თვით მთელი ერისა, როცა ზოგიერთი მისდევს ხალას მრეწველობას და ზოგი კი მიწათ-მოქმედებას!.. რამდენადაც მრავალ-ფეროვანია ბუნება რომელიმე ქვეყნისა, იმდენადვე მრავალფეროვანი უნდა იყოს მოქმედებაც იქ მცხოვრებ ხალხებისა, იმდენადვე მრავალ-ფეროვნი უნდა უნდა იყოს იქ სპეციალობაც. მეურნეობა იწვევს მრეწველობას, ხოლო მრეწველობა ხელს უწყობს მეურნეობის აღორძინებას. ორივე ისეა ერთმანერთზე გადაბმული და დამოკიდებული, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი განცალკევება, მათი ერთმ-ნერთს დაშორება. ასეც იყო უწინ, როცა ფეიქარი იმავ დროს მიწათ-მომქმედიც იყო. წარმომდგარნი ერთი-მეორისგან, ესენი მხოლოდ ურთიერთთან შეერთებით იძლევიან საუკეთესო შედეგებს. რამდენადაც მარტივდება სატეხნიკო იარაღები, რამდენადაც უფრო ვრცელდება ხალხში სატეხნიკო სწავლა-განათლება, იმდენადვე უკეთ და სწრაფად ეწყობიან სხვა და სხვა ხალხები ორივეს სამეურნეო თუ სამრეწველო საქმეებსა. ასე რომ გამოდის: მოისპობა დაუსრულებელი განაწილება შრომის და მის ადგილს დაიკავებს სხვა და სხვა შრომა—გონებრივი, სამრეწველო და სამიწათმოქმედო, ყველა მათი ათასნაირი დარგებით; ასე რომ ყოველი ერი და მისი ყოველი წევრი უნდა იყოს თავის თავის მრეწველიც და მიწათ-მომქმედიც, ხელოვანი და გონებით მუშაკიც... ასეთია ბუნებრივი მისწრაფებანი ყოველი ერისა თუ კერძო პიროვნებისა და ამას ვერსად ვერ გავექცევით!.

საკითხის ასე ზოგადათ გაშუქების შემდეგ, ავალაპარაკოთ ახლა ფაქტები და მაგალითები.

ინგლისის მრეწველობის უაღრესად განვითარებამ დაჰბადა ევროპაში ის შემცდარი შეხედულება და რწმენა, რომ ვითომ ევროპის ხალხთა დანიშნულება ის არის თვით ბუნების და ისტორიისაგანაო, რომ აკეთონ მთელი ქვეყნისათვის სამრეწველო ნაწარმოებნი, ხოლო სხვა ხალხებმა მისცენ მათ მაგიერში პური და ნედლი მასალა—ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ნახშირი, ხე-ტყე და სხვა. რისთვის მოვიყვანოთ პური, რათ მოვაშენოთ საქონელი თუ ფრინველი, ვიწვალოთ ბოსტნეულის მოყვანით, ვენახებისა და ბაღების გაშენებით, რისთვის შევყუროთ დღე-მუდამ ცას შიშითა და გულის ფანცქალით ველოდოთ იქიდამ ღვთისრისხვა სეტყვასა და საზოგადოთ რისთვის ვწვალოთ გლეხის ჭაპან-წყვეტა საცხე-პაპანაქებაში თუ ქარში და ავდარში, როცა უამისოთაც კარგად მოგვივა ინდოეთიდამ, ამერიკიდამ და ავსტრალია-აფრიკიდამ მთელი გროვები პურისა და სხვა ყოველი სანოვაგისა და ხილისა,—ამბობდნენ თბილს ქარხნებში და კანტორებში მოკალათებული—განებივრებული ევროპის მრეწველები.

მაგრამ ადამიანი ყველგან ადამიანია. მისი მოუსვენარი მაძიებელი სული მარმდ ერთი ჭეშმარიტებისა და სიმართლის მოთაყვანე-დამნერგველია ქვეყნად.

ჯერ ორმოცი-სამოცი წელიწადიც არ იყო გასული ინგლისის მრეწველობის ბრწყინვალე აღორძინებიდამ, რომ საფრანგეთმა ხელი მიჰყო საკუთარ მრეწველობას და იმდენად განავითარა იგი, რომ სულ ცოტა ხანში, რაოდენობა საფრანგეთიდამ საზღვარ-გარეთ გატანილ სამრეწველო ნაწარმოებთა უკვე ინგლისის ასეთსავე ნაწარმოებთა ნახევარს უდრიდა და თანაც ის აზრი და მიზანი დაისახა, რომ ახლო მომავალში თავის ასე ანაზდეულად გაზრდილ მრეწველობის ნაწარმოებებს შინვე გაუჩინოთ ბაზარი...

ასე და ამავე გზით მიდის გერმანიის მრეწველობა; ის წინ მიდის ზღაპრულის სისწრაფით. 50 წლის წინეთ, გერმანია პირველი მუშტარი იყო ინგლისის სამრეწველო ნაწარმოებთა და ახლა კი იგი პირველი მოჯაბრეა მისი ევროპასა და აზიაში. ეს ცოტაა: მრეწველობა არ კმაყოფილდება ევროპით და რადგანაც ფულმა და სწავლამ საზღვრები არ იცის, ევროპის მრეწველობის ტალღა უკვე რუსეთსა და მთელს აღმოსავლეთს სცემს. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ გერმანიისა და რუსეთის მრეწველნი და მათი ქარხნები საქმეს პირდაპირ იქიდამ იწყებენ, სადამდინაც ინგლისის მრეწველები მხოლოდ მთელი საუკუნოების ცდისა და გამოცდილების შემდეგ მივიდნენ... დიახ, რუსეთიც ამ გზით მიდის; იგი ცდილობს თვით გააკეთოს ის, რაც მას წინეთ ინგლისიდამ და გერმანია-საფრანგეთიდან გამოჰქონდა. ანვითარებენ საკუთარ მრეწველობას, აგრეთვე ავსტრია, ვენგრია, იტალია, ესპანია, სერბია, ინდია, ბრაზილია, მექსიკაც, აღარას ვამბობთ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, სადაც ტეხნიკური განათლება ვრცელდება ხალხის ყველა ნაწილში და თითონ მრეწველობაც ისეთის ბუმბერაზულის ნაბიჯით მიდის წინ, რომ მალე მთელი ქვეყანა მოფენილი იქნება ამერიკული საქონლით და ნაწარმოებებით. მორჩა და ისტორიას ჩაჰბარდა უკანასკნელ დრომდე არსებული მონოპოლიები ამა თუ იმ ერისა, ქვეყანა ველარ იხილავს მათ, რადგანაც ყველა თავისას ცდილობს და საკუთარ მეურნეობას და მრეწველობას აჩაღებენ.

რუსეთსა და პოლონეთში, მაგალითად, გლეხთა განთავისუფლების დროს (1861 წ.) ითვლებოდა 14,600 ქარხანა სამასი მილიონი მანეთის საქონლის დამზადებით, ოცი წლის შემდეგ კი ქარხანათა რიცხვი უკვე 35,160 იყო და საქონელი 1.305.000 მანეთისა. ვრცელდება და ვითარდება მეტადრე საქსოვი ქარხნები—ჩითებისა, მიტკლებისა, მაუდებისა და იარაღ-მანქანებისა, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდება ევროპის ასეთსავე ნაწარმოებებს ღირსებით და ფასით კი ხშირად ორჯერსამჯერ უფრო იაფია. ნაკლებ არც **შინა-მრეწველობა** ვრცელდება და ვითარდება რუსეთში: მარტო მოსკოვის გარშემო სოფლებში შინა-მრეწველობით მზადდება 45 მილიონი მანეთის საქონელი და ჩვენს მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიაშიაც კი მუშაობს 45 ათასი საქსოვი მანქანა და სხვა.

ეს ხომ ასეა, მაგრამ რუსეთი მაინც წმინდა სამიწად-მოქმედო ქვეყანააო და იმოსება საკუთარი ფართლითაო,—ამბობს კრაპოტკინი. ასეთი წარმატება მრეწველობისა რუსეთ-გერმანიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში იმით აიხსნება, რომ უკანასკნელ წლებში ამათ დიდი ყურადღება მიაქციეს ქიმიურ-ტეხნიკურ განათლებას. ხოლო დღევანდელს განახლებულს რუსეთში და თვით საქართველოშიაც ხომ ყველა სკოლები და გიმნაზიები შრომის სკოლებად და ტეხნიკუმებად აქციეს!..

**ივ. როსტომაშვილი.**

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ქირურგიის სასწაული

### (ტვინის ნაწილების ამოჭრის აპერაციის შესახებ)

მოსკოვის „იზვესტია“ № 91. 26 აპრილის თარიღით გადმოქვცემს შემდეგს:

„გერმანიის გამოჩენილმა ხირურგმა პროფესორმა თედორე კრაუზემ ამას წინედ ბერლინის კლინიკაში შარიტე ხირურგთა კონგრესზე წაიკითხა მოხსენება მის მიერ გაკეთებულ აპერაციის შესახებ 39 წლიან პაციენტ-ეპილეპტიკზე.

ლაპარაკი იყო ეგრედ წოდებულ ჯეკსონურ ეპილეპსიაზე, რომლის დროს სისწორით შეიძლება გამორკვევა იმისი, თუ ტვინის ქერქის რომელი ნაწილია ავადმყოფობის დასაწყისი წყარო. თავის ქალას გადახსნის და ტვინის მაგარი გარსის (пленка) გაკვეთის შემდეგ ტვინი გამოჩენილ იქნა; ამის შემდეგ ელექტრულ ნაკადის საშვალებით გააღიზიანეს ტვინის სხვადასხვა ნაწილი იმ დრომდის, სანამდის არ მიიღეს დაზიანებულ კუნთებში მოძრაობა: ამნაირად სისწორით გამორკვეულ იქნა ტვინის დაზიანებული ნაწილი. ისინი ამოჭრილ იქნენ დაახლოვებით 720 კვადრატიულ მილიმეტრის მანძილზე. აპერაციის პირველ ხანებში პაციენტს გაუჩერდა მარჯვენა ნაწილი, მაგრამ 4 კვირის შემდეგ ყველა ეს მოვლენები გაქრენ და ავადმყოფი სრულიად განიკურნა“.

ასეთი აპერაცია და კიდევ უფრო ძნელიც გაკეთებულ იქნა ჩვენში ამ ოცი დღის წინედ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მუხაძის მიერ.

მისი პაციენტი ნესტორ დუმბაძე 1916 წელში დაჭრილი იყო ტყვიით შუბლში. ტყვია მოხვდა შუბლის მარცხენა მხარეს და გავიდა მარჯვნივ, სადაც დასტოვა უძვლო ფართე ადგილი. ჭრილობას გატანილი ჰქონდა ტვინის თითქმის მთელი წინა ნაწილი. ექვსი წლის შემდეგ, წელს საჭირო შეიქნა აპერაციის გაკეთება, რადგან დუმბაძეს ეპილეპსიის მოვლენა დაეტყო. აპერაციამ თავის ქალას გადახდის შემდეგ გამოარკვია შემდეგი: ტყვიას მარცხენა მხრიდან მარჯვნივ გასვლის დროს დაუტოვებია ჭრილობა, რომელიც ამ ექვსი წლის განმავლობაში გადაქცეულა მილათ ზომით 0,25 ვერშოკი რადიუმით. მილში ადგილი დაეკავებია მსივან ბურთულს, (კისტა) რომელიც სავსე იყო სითხით. პროფესორ მუხაძემ ეს მსივანი ბურთი სითხით ამოსჭრა, მასთან ერთად საჭირო შეიქნა ტვინის წინა ნაწილის სავსებით ამოცლა. ამოცლილი ადგილი და მილი ამოვსებული იქნა ავადმყოფისავე ცხიმით, რამაც მოითხოვა მეორე აპერაცია (ცხიმი ამოიღეს ფეხიდან). ყოველივე ამის შესრულების შემდეგ გაკეთებულ იქნა მესამე აპერაცია მეორე ფეხიდგან ძვლის ფირფიტას ამოღების და თავში ჩასმით. ყველა სამივე აპერაცია ხდებოდა [illegible] ავადმყოფს მისცეს 180 გრამი [illegible] 11 საათს დააძინა.

აპერაციას არავითარი დეფექტი არ დაუტოვებია ავადმყოფისათვის, რომელიც სავსებით ჯანმრთელათაა და ამ დღეებში ჩვეულებრივ მუშაობას შეუდგება.

კარგი იქნებოდა, რომ პროფესორი მუხაძე საჯაროდ წაიკითხავდეს ლექციას ამის შესახებ და რამოდენიმე კინემატოგრაფიულ სურათს აჩვენებდეს საზოგადოებას ისე, როგორც დღეს ამას სჩადის პროფესორი კრაუზე.

(კომუნისტი)

# ხელოვნება

## მ. საფაროვ-აბაშიძის საღამო.

რუსთაველის თეატრში სამშაბათს, მაისის 8-ს გაიმართა ქართული თეატრის დამსახურებული მსახიობ ქალის, მ. საფაროვ-აბაშიძის საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. წარმოდგენილი იყო ოპერეტა „ნატვრის თვალის“ პირველი და მეორე მოქმედება. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ საღამოთი მსახიობნი განსაკუთრებულ კარგ გუნებაზედ იყვნენ ალბად დიდი მსახიობი ქალის პატივისცემისა და სიყვარულის ზე-გავლენით. ამ საღამოთი განსაკუთრებით აღსანიშნავია ტ. აბაშიძის თამაში და სიმღერა. ოპერეტის შემდეგ წარმოადგინეს მხიარული ვოდევილი „ადვოკატთან“, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო თვით საფაროვ-აბაშიძისამ. საზოგადოება გულის-ფანცქალით ელოდა დიდი ხელოვანის დანახვას სცენაზედ. და როდესაც იგი გამოჩნდა, პარტერში საზოგადოება ფეხზე ადგომით შეეგება ქართული თეატრის ყოფილ „ვარსკვლავს“ და მთელი თეატრი ჰქუხდა ტაშის კვრით. ასე გაგრძელდა რამოდენიმე წუთს. მ. საფაროვ-აბაშიძისა ასრულებდა ნაზიანის როლს და განა შეიძლება აქ ლაპარაკი შესრულებაზედ, თამაშზე მსახიობის წელთა დაზიდულობის დროს?! ვისაც უნახავს მსახიობი ახალგაზრდობისას მხოლოდ მას შეუძლიან წარმოიდგინოს დიდი მსახიობის დიდი ნიჭი. მაგრამ განა დიდი სარა ბერნარის მხოლოდ რამოდენიმე ფრაზა წარმოთქმულ თეატრში არ გრძნობდა ხოლმე უდიდეს ნეტარებას პარიზის საზოგადოება! სწორედ ასე იყო ამ საღამოთიც. მსახიობის მიერ წარმოთქმული მხოლოდ ორი სიტყვა: „მრცხვენიან ბატონო“—საკმარისი იყო, რომ თქვენ გეგრძნოთ, ხელოვანის დიდი ნიჭი, და განგეცადათ სიამოვნება. გათავებისას საზოგადოებამ კვლავ გაუმართა დიდი ოვაციები მსახიობს და მიართვეს აურაცხელი ყვავილები ასე რომ სცენა მთლათ გაივსო და როდესაც დიდმა მსახიობმა, რომელიც ყვავილებით იყო გარემოცული გადახედა სცენიდან განათებულს დარბაზში საზოგადოებას, რომელიც აღფრთოვანებული სიყვარულით ტაშს უკრავდა აღელდა და სიამოვნების ცრემლები ასხურა ფერხთით გადაშლილს წალკოტს, რაც არა ერთხელ განუცდია ქართული მელპომენის დიდ ქურუმს.

**ვ. ბუ....ლი.**

—

— ლიტერატორმა ახო ვაჩნაძემ სთარგმნა ფრანგული დედნიდან ანდრი პიკარის 1 მოქმედებიანი კომედია „დოზიულე“ და ტრისტან ბერნარდის 3 მოქმედებიანი კომედია „სუზიგუს“ ფარნები. (პარიზის თეატრის „კომედია როალის“ რეპერტუარის პიესებია) წარდგენილია სახალხო განათლების კომისარიატში ნებართვისათვის.

— შაბათს 12 მაისს ყოფილ ქართულ კლუბში გაიმართება ტფილისის ალმასკომის დრამატიულ სექციის მიერ საღამო-წარმოდგენა თანამშრომელთა მონაწილეობით. საღამოს პასუხისმგებელი დიასახლისნი: **ადამიძე, სუხიშვილისა და მესხისა.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 92.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა **საბჭოსი** მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისათვის სასყიდის დაწესების შესახებ.

რათა დაფარულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური ხარჯები, რომელსაც იგი ეწევა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების საქმეში და რომ სათანადო იქნეს დაყენებული მოქალაქობრივი მდგომარეობის ჩაწერის განყოფილების ადგილობრივ ორგანოთა მუშაობა,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სასყიდელი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისათვის შემდეგნაირათ:

ა) დაბადებისა ოცდახუთი კაპ. (25 კ.) ოქროთი.
ბ) ქორწინებისა . . ერთი (1) მანეთი ოქროთი.
გ) განქორწინებისა . . ორი (2) მანეთი ოქროთი.
დ) გვარის შეცვლისა . ათი (10) მანეთი ოქროთი.
ე) ამონაწერის გაცემისათვის უწინდელი მეტრიკული წიგნებიდან, და, აგრეთვე, ამონაწერის გაცემისათვის რეგისტრაციის შემდეგ . . . . . . . . . ერთი (1) მანეთი ოქროთი.

2. ჩაწერა მოქალაქობრივი მდგომარეობის დანარჩენ აქტებისა, მაგალითად: სიკვდილისა, უკვალოდ გადაკარგულთა და ქორწინების გარეშე დაბადებისა—მოხდება უსასყიდლოდ.

3. მეტრიკული ამონაწერის გაცემა თვით რეგისტრაციის დროს სწარმოებს მარტოოდენ სალერბო და საკანცელარიო გადასახადის გარდახდევინებით საერთო საფუძველზე.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი—**ალ. სალარიძე.**

1923 წ. მაისის 8.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


# ტფილისის ალმასკომი

## მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს,

რომ კოჯორში მომავალი ზაფხულისათვის მსურველებს შეუძლიათ დაიქირაონ ოთახები, ოთახები დაყოფილი არის 3 კატეგორიად: 1 კატეგორიის ოთახების ერთი კვ. არშ. მთელ სეზონში ღირს 80 კ. ოქროთი, ოთახები მე-2 კატ.—60 კ. და ოთახები მე-3 კატ.—40 კ. ვისაც სურს აგარაკი დაიქიროს არა უგვიანეს 1 თიბათვისა განათლების განყოფილებაში უნდა შემოიტანოს შესაფერი განცხადება და აგრეთვე მთელი ქირა აგარაკისა, ხოლოდ პროფესიონალურ კავშირის წევრებს შეუძლიათ შემოიტანონ აგარაკის ქირა 2 ვადაზე: პირველი ნახევარი ქირისა უნდა შემოიტანონ განცხადებასთან ერთად, ხოლო მეორე ნახევარი—არა უგვიანეს 1 მკათათვისა.

პროფესიონალურ კავშირთა წევრებს ოთახებთან ერთად დაეთმობათ ზოგიერთი ავეჯიც. რადგანაც კოჯორის აგარაკებს სახელები აქვთ შეცვლილი და ახლად არიან დანომრილი, ამისათვის საჭირო არის, რომ მსურველებმა აგარაკები დაათვალიერონ ადგილობრივ და მიიღონ ყოველგვარი ცნობები კოჯრის სამეურნეო წევრებიდან—ჩხეტიასაგან ან ღვდელაძისაგან, შემდეგ უნდა გამოცხადდენ განყოფილებაში, წარმოადგინონ აგარაკის საფასური და მიიღონ ორდერი.

356 2—2

**პრეზიდიუმი.**


ტირაჟი 1 000 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 266 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზინშტეინის ქუჩ. № 2.